# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 359

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას" (ს.ნ. 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის" (ს.ნ. 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას" (ს.ნ. 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის №25.1251.1429 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას" (ს.ნ. 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებულ „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში (შემდგომში: ხელშეკრულება), ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მხარეთა შორის ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის საფუძველზე ზემოაღნიშნული შეთანხმების გაფორმებამდე დასაკისრებელი/დაკისრებული

პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს.ნ. 206344972) გათავისუფლებაზე, იმ პირობით, რომ ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია“ (ს.ნ. 206344972) ჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე